ISSN 0132-6015

ნიანგი

7

გამოცემის 56-ე წელი, (№ 1569). აპრილი, 1980, ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ფირცხალავასი

— თუ საიდუმლო არ არის, გვითხარით, რა პრობლემებზე მუშაობთ ამჟამად?

— რომელი ერთი ჩამოგითვალოთ: მეზობლის სამოთახიანი ბინის შემოერთებაზე, ეზოში ახალი გარაჟის აშენებაზე, შვილიშვილის კოოპერატიულ მშენებლობაში შეყვანაზე, შავი ზღვის პირას კიდევ ერთი პატარა აბარაკის საკითხის მოგვარებაზე!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იწმინდება წყاროსთვალი!

გაიღმერთა გამდიდრება,
უზრუნველი ცხოვრება!..
მაინც ვხედავ ხშირად ჩვენთან,
ეძებს სულის ცხონებას!

გული მჭლე აქვს,
ხმა — მსუქანი —
მონაწური ბაგეთა,
გრძელ სუფრებზე გაჭიმულა
კოჯორთან თუ ბაგებთან!..

აი, ის კი მაიმახი,
ხორცშესხმული მაცილი,
დაწანწალებს ავი მახით,
ქუდით უჩინმაჩინის!

არიგებენ,
არ ირწმუნა
შუქი გზათა ახალთა,
სინდისისგან გარეცხილი,
მოძმეს ექცა სახადად!

ჩვენი დროის ხორცმეტებო,
გეუბნებით გასაგებად:
ყველა კლიტე უნდა გახსნას
უწმინდესმა გასაღებმა!

ყველა კუთხეს უნდა მიწვდეს
სხივი სალოცავი ნიშის,
რომ დაიწვას,
რომ დამიწდეს

თქვენი საქმე,
თქვენი ჯიში!

აგორებულ ახალ ტალღას —
ველზე ვეფხვურ ნაბიჯებად —
საქართველო მიჰყავს ალმა,
არ სჩვევია დადინჯება!

იწმინდება წყاროსთვალი,
იქოჩრება ვაზიც, ყანაც,
რეკავს ზარი,
წინსვლის ზარი
მთად და ბარად,
მთად და ბარად!

გიორგი გიგაური

ნახ. ჭ. დეისაძისა

— შვილო, გეტყობა, მარხვას არ უნდა იცავდე!
— შენ ნუ დარდობ, დედიჯან! იმდენი მაქვს დამარხული, მთელ ჩემს შთამომავლობას ეყოფა!

თუ იკადრებ!..

„— მერე მე ძროხა ვის ჩავაბარო?
სადღა ვიშოვნი კარგ მეძროხესა?“

ილია ჭავჭავაძე

დაამთავრა თუ არა საფეიქრო ინსტიტუტი ჯანო ყველაიძემ, ახალგაზრდა, მზარდი კადრიაო და — მაშინვე დანიშნეს პურკომბინატის დირექტორად.

კომბინატი დაქცევაზე რომ მიიყვანა, გამოცდილება აკლიაო და — ასანთის ფაბრიკის დირექტორად გადაიყვანეს.

ასანთის ფაბრიკამ უწუმწუმო ჩხირების გამოშვება რომ დაიწყო, კოლექტივს ვერ შეეწყოო და ყველკარაქხორცკომბინატის გაერთიანების დირექტორად გადაიყვანეს.

გაერთიანება გაუქმებამდე რომ მიიყვანა, ეს აქ არ გამოდგებაო და — წყალარხრენვის ტრესტის მმართველად დანიშნეს.

არხში წყლის დაშრობას რომ მიაღწია, რა მოგვიდა, შე კაცოო, დატუქსეს და საკონსერვო ქარხნის დირექტორად გაგზავნეს.

ერთ წელიწადში საკონსერვო ქარხანა უკონსერვო ქარხანად გადააკეთა.

არც აქ ივარგაო და — ახლა ფიქრობენ, რის დირექტორად გადაიყვანონ.

ჩემი მეგობარი ჯუმბერ კაკაძე კი ოცი წელია, რაც ხელფასზე მცხოვრებთა გენერალურ გაერთიანებაში თოვლის საწყობის მმართველად მუშაობს. გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს, ყოველ წელიწადს ქების სიგელით აჯილდოებენ, მაგრამ არსად არ გადაჰყავთ.

ამ ადგილზე შენზე კარგ სპეციალისტს ვერ ვიშოვითო, ეუბნებიან!

ახია მასზე!

არა ჩემია

ნახ. გ. ლომბიძისა

ᲩᲣᲛᲘ ᲓᲐᲩᲘ

ᲩᲕᲔᲣᲚ ᲩᲐᲠᲩᲣᲚ
ᲩᲐᲛᲘᲩᲣᲛᲘᲗ
ᲐᲘᲨᲔᲜᲐ
ᲓᲐᲩᲘᲛ „ᲓᲐᲩᲐ“!
ᲓᲐᲩᲘ ᲛᲝᲮᲡᲜᲔᲡ,
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲓᲐᲩᲘ
ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕ
ᲓᲐᲠᲩᲐ ᲩᲐᲠᲩᲐᲓ.
ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐ
ᲩᲐᲛᲘᲩᲣᲛᲘᲗ
ᲙᲕᲚᲐᲕ ᲛᲝᲘᲠᲗᲝ,
ᲛᲝᲘᲤᲐᲠᲩᲐ
ᲓᲐ ᲩᲐᲠᲩ ᲓᲐᲩᲘᲡ,
ᲩᲣᲛᲩᲣᲛᲔᲚᲐᲡ,
ᲩᲣᲛᲐᲓ „ᲓᲐᲩᲐᲪ“
ᲘᲡᲔᲕ ᲓᲐᲠᲩᲐ!

ᲐᲙᲐᲙᲘ ᲒᲔᲬᲐᲫᲔ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ ᲘᲧᲝ ᲡᲐᲩᲘᲕᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲨᲗᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ...

— იყო და ახლა არ არის, აღარ ჩანს, ერთი წელია!..
— შენიშვნა, ანდა აუგი ხომ არვის ჩაუწერია?
— თვით მე ჩავწერე, რა მექნა, სიმართლეს დროზე თქმა უნდა!
პირში წყლის ჩაგუბებითა სიმართლე ბევრჯერ გამრუდდა!
— ჰოდა, მიტომაც დამალეს, წიგნი აღარ ჩანს საჩინოდ!..
— აწი სულ ქებას ჩავუწერ, ოღონდაც გამოაჩინონ!

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲨᲐᲛᲐᲜᲐᲫᲔ

ნახ. გ. მორჩაძისა



— ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲠᲔᲙᲐ, ᲠᲔᲙᲐ ᲓᲐ, ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲒᲐᲕᲘᲓᲐ ᲮᲐᲖᲖᲔ!

ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲗ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲗ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲚᲘᲐ

ᲑᲐᲢᲝᲜ ᲞᲚᲐᲢᲝᲜᲘᲡ (დიახ, დიახ, — ფილოსოფოსს!) უბრძანებია, ადამიანი ხშირად ვერ ერკვევა, რაა სიკეთე და ბოროტება, თორემ, რა ღმერთი გაუწყრებოდა, ამდენ უსინდისობას როგორ იკადრებდაო! ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, გავიხსენოთ, რა არის სინდისი: ეს გახლავთ კაცობის უმაღლესი საზომი, ურთიერთზრუნვა და პუსუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე! ჰოდა, თუ ამ საზომით მივუდგებით, ერთობ შემაშფოთებელ ფაქტს მოგახსენებთ, რომლის გვერდის ავლა, არც ფეხით და არც ავტომანქანით, არამც და არამც არ შეიძლება, რადგან ამ ფაქტს, პირიქით, თუ მთელი ძალით არ დავეჯახეთ, ავარია მაშინ იკითხეთ!

არც სიჩქარისა და არც მოსალოდნელი კატასტროფის თვალსაზრისით არ ვაჭარბებ! ასეც რომ იყოს და გულითაც რომ მინდოდეს, ვერ დავამუხრუჭებ, რადგან სწორედ მუხრუჭების იმედი არა მაქვს, სწორედ უხარისხო სამუხრუჭე სითხეზე მინდა გელაპარაკოთ, /რომელიც გამოშვებულია ფირმა **„საქყოფქიმიის“ სანარმოო გაერთიანების ლილოს სათაო ქარხნის** იარლიყით. წელიწადში 160 ტ ასეთ სითხეს უშვებს ეს საწარმო, 500%-ით ასრულებს წლიურ გეგმას და ასპროცენტიან საფრთხეში აგდებს მომხმარებელს (ამასაც თუ მოხმარება ჰქვია!).

რა მოხდა მერე, უხარისხო პროდუქცია ვის არ გამოუშვიაო, — იქნებ ვინმეს სურს, შემომდავოს?!. როგორ თუ რა მოხდა?! ვისაც გული ერჩის და თავსა და ნამუსზე ხელი აქვს აღებული, მიბრძანდეს მაღაზიაში, იყიდოს ეს სითხე, ჩაასხას მანქანაში და, კეთილი მგზავრობა მისურვებია!

წამლის მაგივრად — საწამლავი! როგორია? არის პროდუქცია, რომლის ხარისხი სიკვდილ-სიცოცხლის ხარისხში ადის!

ჩემს წინაა, უფრო სწორად, ჩვენი მანქანების სამუხრუჭე სისტემაში ასხია ავტოსამუხრუჭე სითხე „ბსკ“... „ტუ-6-10-1533-75“... (ერთი სიტყვით, აქ 104 კი არა, უამრავი სხვა ტუ-ტუა!)..

„სამუხრუჭე სითხე გათვალისწინებულია მუხრუჭების ჰიდრავლიკური სისტემისათვის, ნორმალური კლიმატის პირობებში“. — ვკითხოულობთ ეტიკეტზე (მოკლედ, თუ დარი დაგიდგა და იღბლიანი კაცი ხარ, იმ დღეს, ფეხი მოგტყდეს და სულ არ გამოხვიდე გარეთ, ან 40 გრადუსი სიცხე მოგცეს, ან საბურავი დაგეშვას... ან, მოკლედ იმას, რაც გელის, ყველაფერი სჯობს!).

„დაუშვებელია სხვა მარკის სამუხრუჭე სითხეებთან შერევა“. — გვაფრთხილებენ ჩვენი კეთილისმყოფელები, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ეს რაღაც განსაკუთრებული და გასაგიჟებელი ნაწარმია!.. **„გაფრთხილების წესები — ცეცხლსაშიშია! ტოქსიკურია! გაუფრთხილდით, თვალში არ მოგხვდეთ!“...** რას ერჩი, ალალად გვაფრთხილებენ!

ყველაფერ ამასთან ერთად რომ გავეფრთხილებინეთ, უხარისხოა და სასიკვდილოაო, კიდევ უფრო დავუმადლებდით. ისე კი, რაც მართალია-მართალია, ნამდვილად საშიშია, ტოქსიკურიცაა, შხამი და სამსალაა — წამ-

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

ლის მაგიერად, სანამლავია! აქ სიტყვა „თავ-ში არ მოგზადეთ“ — ცოტა ორაზროვნადაც კი ჟღერს. ამა, ვის რად უნდა (იმ სპეციალისტთგან, ვისაც მისი უფარისხობა თავ-ში არ მოხდა), ეს სამარცხვინო ამბავი სხვას მოხდეს თვალში?!.. ასეა თუ ისე, ნამეტანს კი გვიფრთხილობენენ, მაგრამ „საქაოფქმინის“ ეს პროდუქცია მაინც მოხდა ხალხს თვალში, კოხალამ დაგეფიცა თვალები და დაგიქცია ოჯახი! ეგზ.ატმს ამშვენება ბოლო ფრაზა: **„ბანა ნეტო — 880 გ, 440 გ, ფასი 1 მან 84 კაპ.; 98 კაპ. (?!)** (გაიგე, ახლა აქ რამდენი გ., მან. და რამდენი კაპ-ია?!)

ნეტოა თუ ბრუტოა, მარილა ბრუტიანი უნდა იყო კაკი, რომ ცარიელ ნარნარას მიეწოდ და ხალხი არ ვასხვრო პირობა, ან გასინჯო და ასეთი აღმაშფოთებელი ფაქტი ვერ მეფიქნო.

...ბაინდ რა ღმერთი გაგვინარა! — ჩვენი ბაბისბაბის ბაბა, ჩვენს წილთაღრიცხვამდე, ათიადან-ბაბადან, ბალელოთიდან და ხელოთიდან მოყოლებული იცნობდა ხალხურ ქიმიასს.. თამაღები, მოსკიბი, ხალიბები, მოსინიები, კოლხები, ლაზები, მეგრელ-ჭანები, იბერები, ქიმიის სახსენებელი რომ არ იყო, მაგრამ ეროსოობდენენ, „სიეოოხლის ელექსირს“ ამზადებენენ ავეერ რიდის, ჩვენ კი „სახეკვდილი ზეთის“ ეუფლებთ, ავეერ ალაპ ვიხტანგ მეექვსემ XVIII საუკუნეში. დაწერა ნიგნი **„ზეთების ბეზაკებისა და ქიმიის ქმნისა“**. ჩვენ კი, როგორ ვიზაკეთ ზეთებს და როგორ ქიმიასა ვიქმთ?

...ეიიდგო კ ა ც ს ქვა ალმარიში მიგნეკაო.. ხომ დაგიჟირეთ, ბიჭებო, შატალოზე?!. რაგომ არ ეცნრებოდით ქიმიის იმ გაკვეთილ, როცა მასნაკლებელმა ასეთი სამნაცო და საგარეო დავალება მოგცათ (სიზეპირად): **„ქიმიის ბეზნეკელის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვისნკვლით ნივთიერებაა სნორად და სრულფოფოლად აღნერა“**. ის გაკვეთილი რომ არ გაგეცდინათ, ამ ნივთიერებებს ასე ხომ არ აურეკვდით და სამუხრუფუ სითხეს ხომ არ დაარქმევდით?!

...სამუხრუფუ სითხე შედგება 49,989% ბუთილის სპირტისაგან (ოჰ, ეს სპირტი რომ გაეოვეკ, ან არ გაეოვეკ სამეცნი, არ შეიძენა არ აუენიოს!), **0,011% „ეუ“ ციხიმის საღებავისა** (ციხეშის დაგროვებამაც იცის საქმის არეკვას!) **და 50% ამუსალაოინის ზეთისაგან...** ამ სითხეში კი ემპაკეს და, მგონი, თქვენც უნდა იცოდეთ, რა რაოდენობით და რა დროსი, რა ჯანდაბა და რა დოზანა ურევეთ...!

როგორ რაფინირებულად და, რბილადაც უნდა ვთქვათ, არ ეკეთს მაგ ამუსალაოინის ზეთი პირველი ხარისხის რაფინირებულ ზეთს, არც „ეუ“-ს და არც „ს“-ს! თუ „ს“ იმ ბნიშნელობით არის ნათქვამი, შენც **სუ** და მეც **სუო**, ეგ სხვა ამბავია!

ახლა კი, ყოველგვარი ხუმრობის გარეშე:

...ბალზაბაში ვ ი ო ფ ე ე ავტომანქანისათვის ნამალეთი საჭირო **„საქაოფქმინის“** ეს სითხე, რომლის იარფაეს ნამდვილად დაამშვენებდა თავის ქალ და ეერთნანეთზე გადაჯეკრედნიტეკენ ძალების გამოსახულება, ხოლო სანეკნოდაც **„სამუხრუფუ სითხის“** ნაცვლად ნაპრნარა — **„სახეკვდილო-ა!“** ჩაკახსნი მანქანაში, გავიდი ტრასაზე და უეცრად ნინ სიკვდილის ანრილი შემოგფეთა — მუხრუფუბეგ მიმგყვნეს! ეს შოფრულად, კაცურად კი საკუთარმა ძმამ მიღალატა, ბოლოს გუშინ იქნებ ვიხტანგურადაც კი ვსაუბდი კაცობის, ძმობისა და მეგობრობის სადღეგრძელოსაკ..

„ასე მტერი დაგეცალოს!“ სისტემის „სამუხრუფუ სითხე“ უცბად დაიცალა, დაიქცა და ქუჩაში მოსიარულე ხალხს, ქალებს, ბავშვებს, სიჩქარის, საჭისა და გაოგნებული საკუთარი თავის ამარა დაეჩრნ! გიფიეთი ვაცეცქვი თვალებს და სისველის ნინა „ადამიანაში“ ძლეს ვარჩევდი ადამიანებისა და ჩვენი ამაზზნენი ფიქრის კონტურებს!.. მანქანამ დაკარგა მართვა, რკინის „ურჩზული“ მათ-ხრვეინებდა ვიღაცისა და საკუთარ სადლაეს!.. სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, ცარიელ ტროტუარზე ხეთუჯერ ავაგდე და ჩამოვაგდე მანქანა, სიჩქარე დაეუკარგე და... ჩელუსკინელების ხიფის მოაჯირთან მიქელ-გაბრიელის წინ გავმეშეი!.. მერე ვიღაცა კაცური კაცი ვიპოვე, წინ გავიძოლოდ ფა, რის ვაიგაკლახით ხელოსანადე მივიტანე სულიერ.. ხელოსანმა მარჩიელივით მკითხა: ელიოს ქარხნის სითხე ხომ არ გისხია, თან რომელი თვისო? შენ რა იცი-მეთქი? როგორ თუ რა ვიცი, შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი.

და აი, რა დაწერა და რა თქვა სხვამაც:

„ჩვენს გარაჯში შემოტანილ იქნა „სამუხრუფუ სითხე“, რომელიც დამზადებული იყო ლელოს ქიმიურ კომბინატში... მე ვმუშაობ სამუხრუფუ სისტემის შემკეთებლად. ალნიშნული სითხის ხმარების შედეგად, ძალიან გახშირდა ავტომანქანების ხაზიდან ნაადრევად შემოსვლა... მართვის დროს ხდებოდა თვითდამუხრუფება, რაც გამოწვეული იყო მანდებების გაბერვით. ალნიშნული უნესიერობა სამუხრუფუ სითხის უხარისხობაა, რაც შემდეგნაირად გაირკვა: ალნიშნული სითხე მოლიანად გამოიცალა ქ. ლენინგრადში დამზადებული სამუხრუფუ სითხით, რის შედეგადაც, მთელინაად ალმოიფხვრა სამუხრუფუ სისტემის უნესიერობები.

ავტოკოლონა 2656-ის ავტოშემკეთებელი მ. ნ. რ ო მ ე ლ ა ძ ე ი ლ ი.“

„ავტომობილის თვლების სამუხრუფუ მუშა-ცილინდრის რეზინის მანდების „ბაბერვა“ (მისი დეფორმაცია — დაშლა რიმმ სითხის ზემოქმედების შედეგად) ინეფეს სამუხრუფუ სისტემიდან სითხის დაღვრას და მუხრუფების სრულ უმოქმედობას.“ კომპეტენტურ დასკვნას გვაძლევს **თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების ტექნიკური განყოფილების უფროსი** ამხ. თ. მ ა ღ რ ა ძ ე.

„ხელმძღვანელობის დავალებით, საწოფაციორები ქიმიის ქარხანაში ანალიზის ჩასაბარებლად მივიტანე სანარმოების მიერ დანუნებული სამუხრუფუ სითხის ნიმუშები... სპეციალისტების სიგნალით სამუხრუფუ სითხე ინეფეს რეზინის მანდებების გაბერვას და მისი ოფოსებების მასიურად გაუარესებას... ლაბორატორიიდან დდების შემდეგ, სიტყვიერად გადმომცეს, რომ სამუხრუფუ სითხე შეესაბამება „გოსტს“ და არავითარი გადახრა არ არის მის ქიმიურ შემადგენლობაში... დასკვნა არ მოიფიათ და მხოლოდ ზეპირი ახსნა-განმარტებით შემოიფარგლენ...

თბილისის სატრანსპორტო გაერთიანების ტექნიკური განყოფილების ინენერი თ. ბ ე ბ ე ნ ა ვ ა.“

...სანარმოო გაერთიანების ტექნიკური კონტროლის განყოფილების ფურნალებში კი ჩამიზეში არ ისმის — იქ ყველაფერი რიგზეა, „ავ თვალს არ დაენახვება“. სნორედ ასეთ „პარადეზ“ ქაღალდებზე ითქვა ამასნინანდელ პრაქტიკულ-სამეცნიერო კონფერენციაზე **(„დაგრძელითო კერძოდმსაკუთრელ ტექდანეფიციები, დაკვამკეფიდრთო კომუნისტაური მორალის ნორმებსა!“)** დაა სნორედ ასეთ ყალბ ამთოსსა და მათ „გასამაგრებელ“ ქიმიურ ფორმულებს ამათილებს ლენინისეული ფორმულა — **„ფორმალურად სნორია, არსებითად კი ამუჩაგ ადგებაა!“**

მაშ, რატომ არ მოგანეს ტექნიკური კონტროლის განყოფილების ფურნალებში სარეკვარი?

— შეგიძლიათ, ხელმეორედ შეამოწმოთ თქვენი ნარმოების ნუნდებული სამუხრუფუ სითხე? — ვეკითხეთ ექსპერტ-ლაბორანტს **ნანელი ტატიანაძეს,** რომელიც თვალებით იფიგე კითხვას უმეორებს თავის უფროსებს.

— არ შეგიძლია! ეფას ორი ცალი მანდები უნდა, ჩვენ არ გვაქვს!

— ყველაფერი „გოსტის“ მიხედვით იყო, არავითარი გადახრა! — დაქმეზე უფრო ჯიუტად და, ყოველგვარი შეშინებების დაუშინებებლად ბეჭდეს უსვამს **გაერთიანების ენენერალური დირექტორი კობა კ ი ლ ა ძ ე,** — მაგ სითხეს უმეკის ავტოკოსმეტიკის ჯგუფი,

ილუსტრაციები ბ. ლ ო ლ უ ა ს ი ს

ლაბ. ბ. ბაბუშაია
ლაბ. ბ. ბაბუშაია
ლაბ. ბ. ბაბუშაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ДИЕРД ФЕЛДЕШИ

(უნგრეთი)

ДАХАСИАТОЕБА

— ერთი გამოცდილი, საქმიანი მუშაკი მჭირდება! რეკომენდაციას ხომ ვერ გაუწევ-დით ვინმეს თქვენი საწარმოდან?

— დიდი სიამოვნებით! აი, თუნდაც ჩემს მოადგილეს! საუკეთესო მუშაკია, ბრწყინვალე ორგანიზატორი, გამბედავიც არის და საქმიანიც, ასეთზე შეიძლება მხოლოდ იოცნებო!

— როგორც ადამიანი?

— უაღრესად პატიოსანი და გულწრფელია, თანამშრომლების მიმართ უდიდეს ყურადღებას იჩენს, ყოველთვის მზად არის, დაეხმაროს მათ, ტაქტიანი და გულისხმიერია, მთელი კოლექტივის სული და გულია!

— ოჯახში როგორია?

— სამაგალითო! ცოლსა და შვილებს აღმერთებს, იმათაც მზე და მთვარე მასზე ამოსდით!

— საზოგადოებრივი საქმიანობა თუ აინტერესებს?

— პირდაპირ ამისთვის არის დაბადებული!

— გასაგებია. სხვა ვინმეს ხომ ვერ მირჩევდით?

— როგორ არა, მაგრამ ასეთი ვერ იქნება.

— თავის სპეციალობაში თუ ერკვევა?

— გაჭირვებით!.. სხვების დახმარებით რაღაცას ახერხებს, მაგრამ ზარმაცია და გეგმის შესრულებაში ყოველთვის ხელს გვიშლის! სერიოზულ საქმეს მაგას ვერ მიანდობ!

— როგორი ადამიანია?

— უხასიათო და ავია! უფროსებთან მლიქვნელობს! ხელქვეითებთან უხეშია! ინტრიგანობა უყვარს... და, საერთოდ, მას ჩვენთან ვერ იტანენ!

— ოჯახში როგორია?

— აუტანელი! მის პირად ცხოვრებაში ეშმაკიც ვერ გაერკვევა! ბუღალტერი ყოველთვის ვალიდოლს სვამს, როცა მისი ყოფილი ცოლების რაოდენობის დადგენა და ხელფასიდან ალიმენტების გამოანგარიშება უხდება!

— საზოგადოებრივი საქმიანობა თუ აინტერესებს?

— ნაკლებად! მახსოვს, ერთხელ კედლის გაზეთის რედკოლეგიაში უნდოდათ მისი არჩევა და განაცხადა, წერა-კითხვა არ ვიციო!

— საკმარისია! შეგიძლიათ, აღარ განაგრძოთ! ეს სწორედ ის კაცია, მე რომ ვეძებ! თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვთ, ახლავე გამომიგზავნეთ!

— რას ამბობთ?! შეუძლებელია! რაში გამოგადგებათ?!

— თქვენ მაგაზე თავს ნუ შეიწუხებთ, ეს უკვე ჩემი საქმეა! ახლა ასე ადვილად ველარავინ მომატყუებს! როცა უვარგისი მუშაკის თავიდან მოცილება უნდათ, აქებენ და ადიდებენ! ღირსეულს, საუკეთესოს კი ასე ლანძღავენ და აძაგებენ! თქვენი დახასიათება ჩემთვის სავსებით გასაგებია! ახლავე გამომიგზავნეთ ის „არამზადა“!

უნგრულიდან თარგმნა ლილი მაისურაძემ

— უფროსო! დღეს აბანოში წყალი არ მოდიოდა, მაგრამ გეგმა მაინც შევასრულეთ!

საშიში დაავადება

ნახ. ნ. ბალაბანიანი

ხულიგნობა

საყმაწვილო სენია, ზოგჯერ ხანდაზმულებსაც ემართებათ. ავადმყოფს იპყრობს მოუსვენრობა და ცდილობს, სხვისი სიმშვიდის დარღვევით ჰპოვოს სულიერი შვება.

ავადმყოფი ხასიათდება სიფიცხით, თავშეუკავებლობით, თავგასულობით, ზოგჯერ თავზეხელაღებულობითაც კი, რაც მეტად აგრესიულ საქციელში გადაიზრდება ხოლმე.

ზემოაღნიშნული სენით ავადდებიან მეტწილად ზეფიზიკური ჯანმრთელობისა და ათლეტური მონაცემების მქონე ახალგაზრდები. მის წარმოშობას კი ხელს უწყობს ის ჭარბი ენერგია, რომლის გამოყენება მათ ვერ შეძლეს უსაქმურობისა და უმიზნობის გამო, ამიტომაც მიმართავენ თვითგანმუხტვას, ამ შემთხვევაში კატალიზატორის როლს ალკოჰოლი ასრულებს.

დაავადება თავს იჩენს, როცა ხულიგანი მსხვერპლს შენიშნავს. ამ დროს მას იპყრობს საკუთარი ძალისა და მოქნილობის დემონსტრირების დაუოკებელი სურვილი, რაც გარეგნულად მეტად პათოლოგიურ ფორმებში ვლინდება: ავადმყოფს სახე ემანჭება, თვალები უფართოვდება, ხელისგული ექავება, სახის კუნთები უთამაშებს, ძარღვები ებერება და იწყებს მოწინააღმდეგის ფიზიონომიის დეფორმაციას. ეს კი ხდება თანდასწრეებით მრავალრიცხოვანი მაყურებლისა, რომლებიც ინტერესით შეჰყურებენ ამ „იმპროვიზებულ“ პაექრობას, ხოლო სახიფათო მომენტში, დამოწმების შიშით, სპრინტერული სისწრაფით ტოვებენ იქაურობას. გალახული ბოლმახა და საკუთარ კბილებს ყლაპავს, გამარჯვებული კი მუჰამედ ალის იერით ტოვებს საჯარეზოს. როგორც ხულიგანზე, ასევე მაყურებელზე უარყოფითად მოქმედებს მილიციელთა გამოჩენა, რის გამოც ორთაბრძოლა ვადაზე ადრე წყდება და ხულიგან-მოპაექრე ვერ ახერხებს ჯავრის ამოყრას, ეს კი უარყოფითად მოქმედებს მის ჯანმრთელობაზე.

სამკურნალო-პროფილაქტიკური საშუალებებია: ახალგაზრდის დროული ჩაბმა შრომით საქმიანობაში, ან სპორტის რომელიმე სახეობაში, აღმზრდელობითი მეთოდების გამოყენება. კერძოდ მისი დარწმუნება, რომ ნამდვილი ვაჟკაცობა თავშეუკავებლობა კი არ არის, არამედ — თავშეკავება.

ალმანზორ თავაძე

ნოდარ ჯალაღონია

პოეზიის კარდიოგრამა

ყველა იმედი, ალბათ, ფუჭია, —
თუ არ მივიდა სიტყვა გულამდე.
დროს პოეტების მაჯა უჭირავს,
მათი ლექსების გულს აყურადებს.
ყველას თავისი უნდა მიაგოს
და პოეტებიც დროის წინ დგანან.
დრო სინჯავს ლექსებს და სვამს დიაგნოზს,
ნერს პოეზიის კარდიოგრამას.
აგერ სავარძლით, ჩინით, ტიტულით,
შემოჰყავთ ლექსი ხელოვნურ გულით...
არც აზრი, გრძნობა, სიტყვა ან სული,
არის უბრალოდ ლექსის ფიტული.
შემოდის მანჭვით, გრეხვით და ქლესვით
(ტაშიც დაუკრა თითო-ოროლამ!)
ეტყობა, ავტორს უდღეურ ლექსში
გადაუნერგავს გული გორილას.
ჰა, კიდევ დადგა ვიღაცის ჯერი,
უმალ წითელი შუქიც აენთო
და სიკვდილივით ყღერს განაჩენი:
ამ ლექსს არა აქვს გული საერთოდ!“
შემოაქვთ ლექსი ჩიჩილაკივით,
სახელგამტყდარი და შერცხვენილი,
დამძიმებული ჯინჯილაკებით
და გაბერილი ბოშას ცხენივით.
თუმც ამხნევებენ, თავზე ადგანან,
სიცოცხლის ხაზი მაინც მოკლდება.
ულმობელია კარდიოგრამა:
„ლექსი ავტორთან ერთად მოკვდება!“
და ავტორის წინ ხოხავენ მუცლით,
თან მომაკვდავ ლექსს გარს ეხვევიან,
არის ჩოჩქოლი და ფაციფუცი:
„ჩქარა დონორი, კარგი პრემია!“
აგერ სხვა ლექსიც, რიგს უცდის განა? —
მოდის შუბლით და სიტყვით უშვერით,
მაგრამ მკაცრია კარდიოგრამა:
„ამ ლექსს პრემიაც ვეღარ უშველის!“
უცებ შედგება დროის წინ დინჯად —
ლექსი — მგლის მუხლით და ხარის ქედით,
დროც გულმოდგინედ უმზერს და სინჯავს
გულს დასივებულს სამშობლოს ბედით.
აგერ, ჰა, ლექსიც გადაკარგული —
დიდხანს დილეგში გამოკეტილი,
ნაწამები და ჯვარზე გაკრული
და კვლავ აღმდგარი ქრისტე ღმერთივით,
ხნულში ნადგომი, სანგარს ნანოლი, —
ქვეყნის ჭირი და ლხინი რომ იცის,
სამშობლოსათვის ნაშრომ-ნაბრძოლი,
ლექსი თავმდაბლად დგება დროის წინ.
მთებით, მინდვრებით, ზვავით, ნისლებით,
თბილისს მოადგა „ლექსი ბებერი“,
მოდის ამაყად, მოდის ღირსებით
ლექსი — ქართული ენის ცერბერი.
რუსთველის ძეგლთან შეჰკრა ირაო,
არც მონა უნდა და არც ბატონი!
გაუშვი, თავის გზაზე იაროს,
ისევ ხალხია მისი პატრონი!..
ყველა სიტყვა და საქმე ფუჭია,
თუ კი ხალხსა და მამულს არ რჩება!
დროს პოეტების მაჯა უჭირავს
და აყურადებს მათ გულისცემას!
დრომ ყველას თვისი უნდა მიაგოს:
აქ ვინ დარჩეს ან აქ ვინ არ დარჩეს!
დიახ, დრო უსვამს ლექსებს დიაგნოზს,
დრო და ხალხი ნერს ყველა განაჩენს!

გიზო ზარნაძე

უცნობი ჟურნალისტის ჩანაწერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი აზრით, პიჯაკს ორივე მხარეს შიდა ჯიბე არ სჭირდება. სხვათა შორის, შიდა ჯიბეს გულისჯიბესაც ეტყვიან, იმიტომ რომ გულის მხარესაა. მარჯვენა მხარეს რომ არ ჰქონოდა ჩემს ფინურ პიჯაკს შიდა ჯიბე, მაშინ მისი პირველი პატრონი (მეცოდება ის საწყალი!) ამ ჩანაწერებს ვეღარ ჩაიდებდა შიგ და, მაშასადამე, ვეღარც ჩემს ხელთ მოხვდებოდა. ხსენებული პიჯაკი ნავთლულის ბაზრის ტერიტორიაზე მდებარე სპეციალურ მაღაზიაში შევიძინე საკმაოდ ადამიანურ ფასად. გამოირკვა, რომ ეს მაღაზია ვაჭრობს მხოლოდ და მხოლოდ იმ ნივთებით, რითაც ლომბარდი ამარაგებს. ლომბარდის ადათ-წესები კი, მოგეხსენებათ, საკმაოდ მარტივია: დაგირავებ ასმანეთიან ნივთს, მოგცემენ სამოცდაათს, მაგრამ თუკი თავის დროზე არ გამოისყიდი, ოთხმოც მანეთად გაგიყიდიან. წინამდებარე ჩანაწერების ავტორსაც რაღაც ამდაგვარი დამართნია, ოღონდ ცოტა უარესიც, რადგან ჩანაწერებიც პიჯაკის ჯიბეში ჩარჩენია.

ვინ იცის, როგორ ეძებს ის უცნობი ჟურნალისტი თავის ჩანაწერებს! ვუცხადებ კოლეგიალობას და, შეძლებისდაგვარად, გამოვაქვეყნებ ხოლმე მის დღიურებს. ისე კი, ნამდვილად არაფრის მაქნისია პიჯაკის ორივე მხარეს შიდა ჯიბე!

1979 წ. 17 იანვ. ოთხშაბათი

* * *

„დილით მეუღლემ შაქრის ფხვნილზე გამგზავნა პურის მაღაზიაში. ისე, კაცმა რომ თქვას, რა უნდა პურის მაღაზიაში შაქრის ფხვნილს?! მოსკოვშიც ასეა ნეტავ? შეიძლება იქაცაა, მარა (სტილი დაცულია. რედ.) რასაც ახლა გეტყვით, ის ნამდვილად არ იქნება იქ: რაგომ, არ არის შაქრის ფხვნილი პარკში ისე შეფუთული, რომ არ ცვიოდეს?! არ იცით, ხომ? ამას განგებ სჩადიან! აწონე, მაგალითად, ნახევარკილოიანი პარკი კონგროლზე და ისარმა 488 გრ. გიჩვენა, რავა, უბაგონოდ ხმას გასცემ თუ? იპნევა, ბაგონო, და რა ვქნათო, მოგიგებენ. ასეა ვითომ? ასეა?“

1979 წლის 17 მაისი, ხუთშ. ცხელა თბილისში.

„ზუსტად ოთხი თვეა, კალამი ხელში არ მჭერია. ავად ვიყავი. სამაგიეროდ, აწი უნდა ვიაქტიურო. მაგრამ ეს რა დამიწერია 17 იანვარს?! ყინავდა, ალბათ, უსაშველოდ. პურის მაღაზიაში შაქრის ფხვნილს რა უნდოდა-მეთქი! არა, რომ მომიგრიალდეს, შენ ხარ ჩემი ბაგონი, ვინმე და მომახალოს: თუკი თევზის მაღაზიაში „პონჩიკები“, ხაჭაპურები და ნაირ-ნაირი ნამცხვრები (მათ შორის, კრემიანი!) იყიდება და იქვე იჭმება, შაქარსა და პურს ერთად რა უჭირსო?!

იქნებ, ვინმე დაინტერესდეს, სადაა ეგ თევზის მაღაზია, მისამართიც იმასქენითო. კი, ბაგონო, თბილისშია, პუშკინის ქუჩაზე, ძველი „ბავშვთა სამყაროს“ მწკრივში, სურსათის მაღაზიის გვერდით. დიახ, მეც მივირთმევ ერთხელ იმ მაღაზიაში სიროფიან წყალს ხაჭაპურით და უეცრად რა მესმის: ვიღაც ჩაპუტკუნებულ-ჩაჯინსებული ლამაზმანი თან გემოიანად სმუსნის კრემიან ნამცხვარს და თან პრეტენზიას აცხადებს, თევზის სუნი ასდისო.

მე კი მგონია, ამ საქმეს ცოგა ნავთის სუნიც ასდის...“

* * *

ნიანგისაგან: ჯერჯერობით ორი ჩანაწერი გამოვაქვეყნეთ, მაგრამ ერთი რამ ამთავითვე შეიძლება ითქვას — უცნობი ჟურნალისტი ჩვენი ყოფაცხოვრების ბევრ საჭოჭმანო საკითხს ეხება და წარმატებითაც.

P. S. თუ ავტორი გამოცხადდება რედაქციაში და დაამტკიცებს, რომ ეს ჩანაწერები ნამდვილად მას ეკუთვნის, გამოეწერება ჰონორარი საერთო წესით.

წახ. გ. ფირცხალავასი



— რამდენია ჩვენზე?
— ჩვენთან ქუდზე ოცდაათი მანეთია, ძმებო ჯან!

7-80
300
80
5 ✓
80-300
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახ. გ. ლომბიძისა

ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებმა ისიც იციან, რომ ავღანეთის მთავრობა სრული პატივისცემით ეკიდება მოსახლეობის რელიგიურ სარწმუნოებებს, გაათავისუფლა ამინის მიერ საპყრობილეში შეყრილი მღვდელთმსახურნი და ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ისლამს კანონი იცავს. მართლაც რომ, უხეიროდ გამოიყურება ისრაელი აგრესორის მფარველთა და ირანის წინააღმდეგ მიმართული რეპრესიების ორგანიზატორთა ცდები — „ისლამის ქომაგებად“ გაასაღონ თავი.

გაზეთებიდან

ვაშინგტონელი ალიბაბა და ას ორმოცი ათასი ყაჩაღი

როგორ დავიცვათ ადამიანის უფლებები?!

(პოლიტიკური პამფლეტი)

„**საშუალო ამერიკელი**“ ალფოთებულია: კომუნისტური პროპაგანდა მას მოსვენებას არ აძლევს, როცა ამტკიცებს, თითქოს საბჭოთა კავშირში კი არა, შეერთებულ შტატებში ირღვევა ადამიანის უფლებები, იზღუდება თავისუფლება, ადგილი აქვს სეგრეგაციასა და პოლიტიკურ მკვლელობებს! აბა, ვინ დაიჯერებს ამას?! ვინ არ იცის, რომ ამერიკული დემოკრატია თავისუფლებისა და თანასწორობის ეტალონია?!

მაგრამ ნუ იტყვით, კომუნისტები არ ცხრებიან. ერთმა მათგანმა განაცხადა, შეერთებულ შტატებში ათასობით პოლიტიკური პატიმარიაო. სხვები მიუთითებენ (რანაირ ჭორს არ მოიგონებს კაცი!), რომ ამერიკაში დაპატიმრებული იყვნენ „უილმინგტონის ათეული“, „შარლოტის სამეული“, ვიდაც ასატ შაკური, ჯონ ჰარისი, ჯონ მერიტი და მრავალი სხვა. კომუნისტ პროპაგანდისტებს თითქოს არ ესმით, რომ აღნიშნული პირნი დაპატიმრებული კი არა, სანატორიუმებში იყვნენ გაგზავნილი, რათა დაემშვიდებინათ ნერვები, ემკურნალათ და ჯანმრთელი დაბრუნებულიყვნენ შინ, მაგრამ ვინ გიჯერებს?!

კომუნისტებმა ისიც მოახერხეს, რომ შექმნეს ე. წ. იურისტთა საერთაშორისო ჯგუფი, რომელიც ასეთ დასკვნამდე მივიდა: „არსებობს საკმაოდ სერიოზული მტკიცება იმისა, რომ ამუამად შეერთებულ შტატებში სისტემატურად ირღვევა ადამიანის უფლებები და ეროვნულ უმცირესობათა იურიდიული უფლებანი, მათ შორის ადგილი აქვს რასობრივი დისკრიმინაციისა და სეგრეგაციის პოლიტიკას“.

ყოველივე ამის შემდეგ განა უნდა გიკვირდეს „საშუალო ამერიკელის“ აღშფოთება, მისი მისწრაფება — რაც შეიძლება მალე და ოპერატიულად მოხადოს ნიღაბი „კომუნისტ პროპაგანდისტებსა“ და „მოსკოვის აგენტებს“?

ამიტომ, დღეს ჩვენ გადავწყვიტეთ, დავეხმაროთ საბრალო ამერიკელებს (რომელთა ინტერესებს, ცხადია, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსი უკეთ გამოხატავს, ვიდრე თვით ისინი) და დავასახელოთ „მოსკოვის აგენტურის“ წარმომადგენლები, რომელნიც ცილს სწამებენ „თავისუფლების ბასტიონს“ — ამერიკის შეერთებულ შტატებს. ესენი არიან: შეერთებული შტატების ყოფილი წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ენდრიუ იანგი, ინდოეთის უმაღლესი სასამართლოს წევრი ჰარიშ ჩანდრა, შვეიცის იურისტ-დემოკრატთა ასოციაციის წევრი პერ ეკლუნდი, ნიგერიის უმაღლესი სასამართლოს ადვოკატი იფეანი იფებიგი და სხვანი.

როდესაც ეს „კომუნისტური მეხუთე კოლონა“ განადგურდება, „ქორები“ მოისვენებენ პენტაგონში, ხოლო ედგარ ჰუვერი და ჯონ მაკარტი — საფლავში!

აბა, მეტი რა უნდა „საშუალო ამერიკელს“?!

ედუარდ მენაგდე

როცა რჩეულნი ერთოგბიან...

ამერიკელი მწერალი რ. მური წლობით აგროვებდა მასალებს ვაშინგტონის პოლიტიკის შემოქმედთა შესახებ და ასეთ დასკვნამდე მივიდა: ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის თაღებქვეშ ჰყავის მექრთამეობა, გარყვნილება და ლოთობა!.. წარმომადგენელთა პალატის ყოფილი სპიკერი კარლ ალბერტი, გვამცნობს რ. მური, დღენიადაგ თვრებოდა გრძნობის დაკარგვამდე. გადასახადების გადამხდელთა ფულით მას დაქირავებული ჰყავდა მდივანი გოგონების მთელი შტატი, რომელთა ძირითადი მოვალეობა არაფრით არ შეესაბამებოდა მათს სამსახურებრივ ფუნქციებს. ასე იქცევა, ამტკიცებს რ. მური, „ხალხის რჩეულთა“ სულ ცოტა ერთი მეოთხედი.

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე
სარედაქციო კოლეგია: ზ. კაციაშვილი, ჯ. ლოლუა, ბ. ლომბიძე, ნ. მალაზონია (მხატვ. რედ.), ბ. ნიშნიანიძე, ბ. სიხარულიძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ფირცხალავა, ო. ჭელიძე
● ტექნიკური რედაქტორი ბ. კუხალაშვილი, ● სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. ● თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42,
● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა. გადაეცა ასაწყობად 6/III-80 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/IV-80 წ. ქაღალდის ზომა 70×108 1/8
ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 1.7 ● საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14. ● შეკვ. 705 უე 08461 ტირ. 160,400 Тбилиси, пр. Руставели № 42. Сатирико-юмористический журнал «Нианги». ● Издательство ЦК КП Грузии. ● Типография Издательства ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14.
ტელეფონები: 99-76-69, 93-19-42, 93-10-78, 93-49-32. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.
ნახატი თემებმა ავტორებმა: ბ. აბაშიძე, ა. ადეიშვილი, დ. ასკურავა, ბ. ლეონიძე, ბ. ნიბაძე, ბ. ლომბიძე, ე. ხიბულიძე.